PKF

სს "ზირაათ ბანკი საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა 3
ფინანსური ანგარიშგებები 5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 9

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "ზირაათ ბანკი საქართველო"-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარისგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს "ზირაათ ბანკი საქართველო"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის" შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს სს "ზირაათ ბანკი საქართველო"ს ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ

მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ISA-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე ან

თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ორგანიზაცია.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა - განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს "ფი-ქეი-ეფ ჯორჯია"
30 აპრილი, 2018

Address: 61, Agmashenebeli 0102, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 2 24 30 30
Fax: +995 32 2 293 57 94 | E-Mail: pkf@pkfgeorgia.com | URL: www.pkf.com
PKF Georgia is a member firm of the PKF International Limited network of legally independent firms and does not accept any responsibility or liability for the actions or inactions on the part of any other individual member firm or firms.

სს "ზირაათ ბანკი საქართველო"
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა „ლარი"

	შენიშვნა	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი	5	3,408,489	3,033,402
საპროცენტო ხარჯი	5	(350,100)	(230,346)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**3,058,388**	**2,803,056**
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილება	10	(266,649)	(269,452)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების შესაძლო დანაკარგების გამოკლების შემდეგ		**2,791,739**	**2,533,604**
საკომისიო შემოსავალი	6	1,117,388	1,219,562
საკომისიო ხარჯი	6	(536,608)	(495,327)
შემოსავალი უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან		1,799,643	2,158,750
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,534,389)	(3,210,893)
სხვა შემოსავალი		180,662	159,906
გაცემული გარანტიების რეზერვის ცვლილება	14	(139,217)	50,081
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(137,982)	(151,042)
მოგება დაბეგვრამდე		**1,541,237**	**2,264,641**
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(62,201)	(236,806)
წლიური მოგება		**1,479,036**	**2,027,835**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 30 აპრილი:

მეჰმეტ უჩარ
გენერალური დირექტორი

ბუღალტერი
ლინა დავითიძე

სს "ზირაათ ბანკი საქართველო"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა „ლარი"

	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	9	49,165,684	27,557,490
სავალდებულო რეზერვი სებ_ში		6,735,692	10,477,637
კლიენტებზე გაცემული სესხები	10	17,917,715	14,901,515
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	11	15,815,783	10,152,177
სხვა აქტივები		253,373	147,093
ძირითადი საშუალებები	12	3,540,429	3,854,076
არამატერიალური აქტივები		221,460	263,392
სულ აქტივები		**93,650,135**	**67,353,380**
ვალდებულებები			
კლიენტთა ანგარიშები	13	61,630,939	45,058,045
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ		783,621	378,350
გაცემული გარანტიების რეზერვი	14	228,406	147,498
სხვა ვალდებულებები		142,964	116,527
საგადასახადო ვალდებულება		27,178	-
სულ ვალდებულებები		**62,813,109**	**45,700,420**
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		30,000,000	15,204,182
გაუნაწილებელი მოგება		833,037	6,440,789
სხვა რეზერვი		3,989	7,989
სულ კაპიტალი	15	**30,837,026**	**21,652,960**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**93,650,135**	**67,353,380**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 30 აპრილი:

მეჰმეტ უჩარ
გენერალური დირექტორი

ბუღალტერი
ლინა დავითიძე

JSC ZIRAAT BANK GEORGIA
ZIRAAT BANKASI A.Ş.
GÜRCİSTAN
404534170
სს ზირაათ ბანკი საქართველო

სს "ზირაათ ბანკი საქართველო"
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა „ლარი"

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვი	სულ კაპიტალი
ბალანსი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**15,204,182**	**2,336,801**	**16,000**	**17,556,983**
წლიური შემოსავალი	-	2,076,153	-	**2,076,153**
ამორტიზაცია	-	-	(4,000)	**(4,000)**
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**15,204,182**	**4,412,954**	**12,000**	**19,629,136**
წლიური შემოსავალი	-	2,027,835	-	**2,027,835**
ამორტიზაცია	-	-	(4,011)	**(4,011)**
ბალანსი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**15,204,182**	**6,440,789**	**7,989**	**21,652,960**
კაპიტალის შემცირება	(15,204,182)	-	-	**(15,204,182)**
კაპიტალის გაზრდა	30,000,000	-	-	**30,000,000**
გაუნაწილებელი მოგება	-	(5,607,752)		**(5,607,752)**
სხვა რეზერვი	-	-	(4,000)	**(4,000)**
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,000,000**	**833,037**	**3,989**	**30,837,026**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 30 აპრილი:

მეჰმეტ უჩარ
გენერალური დირექტორი

ბუღალტერი
ლინა დავითიძე

სს "ზირაათ ბანკი საქართველო"
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა „ლარი"

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2017	2016
მოგება დაბეგვრამდე	**1,541,237**	**2,264,641**
კორექტირებები:		
- ცვეთა და ამორტიზაცია	524,509	606,586
- რეზერვების ცვლილება	80,908	219,371
სებ-ში სავალდებულო რეზერვის ზრდა/შემცირება	3,741,945	(3,403,963)
კლიენტებზე გაცემული სესხების ზრდა/შემცირება	(3,280,065)	(1,774,694)
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების ზრდა/შემცირება	(5,663,606)	586,077
სხვა აქტივების შემცირება/ზრდა	(106,280)	218,297
კლიენტთა ანგარიშების ზრდა/შემცირება	16,572,894	3,751,599
სხვა ვალდებულებების ზრდა/შემცირება	26,438	(373,112)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/შემცირება	27,178	-
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი ნაკადები	**13,465,157**	**2,094,802**
გადახდილი მოგების გადასახადი	(260,643)	(198,889)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	**13,206,114**	**1,895,913**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული და არამატერიალური აქტივების შეძენა	355,580	(2,316,196)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**355,580**	**(2,316,196)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ბანკის სხვა ფილიალეისადმი ვალდებულებების გადახდა	405,271	(2,051,276)
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში	7,642,830	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**8,048,101**	**(2,051,276)**
წმინდა ცვლილება წლის განმავლობაში	**21,608,194**	**(2,471,559)**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**27,557,490**	**30,029,049**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**49,165,684**	**27,557,490**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 30 აპრილი:

მეჰმეტ უჩარ
გენერალური დირექტორი

ბუღალტერი
ლინა დავითიძე

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
სს "ზირაათ ბანკი საქართველო"

1. ზოგადი ინფორმაცია

სს "ზირაათ ბანკი საქართველო" (შემდგომში „ბანკი") არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრიებულ ბანკი, თავისი სერვის ცენტრებით თბილისში, ბათუმსა და მარნეულში. ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ") მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზიით.

კომპანია რეგისტრირებული არის შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, სანაპიროს ქუჩა N-6.

ხელმძღვანელობა:

გენერალური დირექტორი	მეჰმეთ უჩარ
გენერალური დირექტორის მოადგილე	ჰალუქ ჯენგიზ
დირექტორი	ბურჯუ ეროლ

2017 წლის აპრილის ჩათვლით კომპანია წარმოადგენდა სს ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალს . 2017 წლის 27 აპრილის განკარგულება 386-ის თანახმად, კომპანიამ მიიღო საბანკო საქმიანობის ლიცენზია და შესაბამისად შეიცვალა საიდენტიფიკაციო კოდი, თუმცა საქმიანობის სფერო უცვლელი დარჩა და განაგრძობს ფუნქციონირებას როგორც "სს ზირაათ ბანკი საქართველო".

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ფინანსური ინსტრუმენტები

ბანკი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ბანკი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში ბანკმა ფინანსური ინსტრუმენტები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად:

3.1.1 სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი.

გარდა კლიენტებზე გაცემული სესხებისა, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

3.1.2 დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული საზღაურით და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომელთა ფლობის განზრახვა და უნარი ჯგუფს ვალდებულების შესრულების ვადამდე აქვს. ამ კატეგორიაში დაუშვებელია იმ ფინანსური აქტივების კლასიფიცირება, რომლებსაც ჯგუფი თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით და ასახავს მოგება - ზარალში და აქტივებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ სესხებისა და მოთხოვნების განმარტებას. სესხებისა და მოთხოვნების მსგავსად, ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობით წარმოქმნილი ზარალი.

3.1.3 ფინანსური ვალდებულებების შემდგომი აღრიცხვა

საანგარიშგებო პერიოდში ბანკს არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სავაჭროდ ფლობილი ან სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული მოგება - ზარალის გამოყენებით. ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კლიენტთა ანგარიშები და ვალდებულება სხვა ბანკების მიმართ კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

3.1.4 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.1.5 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბანკი აფასებს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებაზე. ფასდება, ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსური პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო და სხვა.

კლიენტებზე გაცემული სესხების შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად არ ხდება გაუფასურების შეფასება, ბანკი აფასებს გაუფასურებას კოლექტიურად, წარსულ გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით.

საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო ვალების რეზერვის გამოყენებით. ამ რეზერვის ცვლილება აღიარდება მოგება - ზარალში.

3.1.6 ფინანსური ინსტრუმენტების გაქვითვა და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.

ფინანსური ვალდებულება ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება - ზარალში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

- შენობები - 50 წელი
- კომპიუტერული აღჭურვილობა - 4 წელი
- ავეჯი - 6 წელი
- იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება - 5 წელი
- სხვა - 4 – 5 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ჩამოწერის შედეგი აღიარდება მოგება - ზარალში.

3.3 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% წრფივი) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

3.4 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება - ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოიქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისაგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

3.5 მოგების გადასახადი

მოგების გადასახდი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზების გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არასდროს იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისთვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის ჯგუფი (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახო ორგანოსთან და ჯგუფს სურს თანხების დაფარვა ურთიერთგაქვითვის საფუძველზე.

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება - ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

3.6 ანარიცხები (რეზერვები)

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება - ზარალში.

3.7 უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

დასახელება	აშშ დოლარი	ევრო	თურქული ლირა
სავალუტო კურსი 31.12.2016	2.65	2.79	0.75
სავალუტო კურსი 31.12.2017	2.59	3.10	0.69

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება - ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

3.8 სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები"

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები" საბოლოო ვერსია, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ყველა ფაზას და ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" და ფასს 9-ის ყველა მანამდე არსებულ ვერსიას. სტანდარტით დამტკიცდა კლასიფიკაციისა და შეფასების, გაუფასურებისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი წესები. კლასიფიცირებასა და შეფასებას რაც შეეხება, ეს ახალი სტანდარტი მოითხოვს წილობრივი ინსტრუმენტებისა და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა ყველა ფინანსური აქტივის შეფასებას საწარმოს მიერ ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელის და ასევე ამ ინსტრუმენტებზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავისებურებების საფუძველზე. ბასს 39-ის შეფასების კატეგორიები ჩანაცვლდება შემდეგით: სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში (FVPL), სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), და ამორტიზებული ღირებულების კატეგორიები. ამასთანავე, ფასს 9 საწარმოებს საშუალებას მისცემს, რომ ის ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, შეუქცევადად განსაზღვროს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუკი ეს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას მთლიანად აღმოფხვრის ან საგრძნობლად შეამცირებს. წილობრივი ინსტრუმენტები, რომელთა ფლობის მიზანიც არ არის გაყიდვა, შეიძლება შეუქცევადად განისაზღვროს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, რის შემდეგაც მოგების ან ზარალის რეკლასიფიცირება აღარ მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა მეტწილად იგივე დარჩება, რაც ბასს 39-ითაა გათვალისწინებული. ფასს 9-ით ასევე ძირეულად შეიცვლება მიდგომა სესხის გაუფასურებისადმი. ეს სტანდარტი ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომას ჩაანაცვლებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით, რომელიც

მომავალზეა ორიენტირებული, და არა წარსულზე. ბანკი ვალდებული იქნება ყველა სესხისა და სხვა დებიტორული ფინანსური აქტივისთვის, რომლებიც არ არის მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, ასევე სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის, შექმნას მოსალოდნელი ზარალის რეზერვი. რეზერვი დაეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი, რა შემთხვევაშიც რეზერვი უნდა ეყრდნობოდეს ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. რეტროსპექტულად გამოყენება სავალდებულოა, თუმცა შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშება არ მოითხოვება; გადასვლის თარიღზე (2018 წლის 1 იანვარი) ეფექტი უნდა აღირიცხოს გაუნაწილებელ მოგებაში. ფასს 9-ის მიღება, მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს კომპანიის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს კომპანიის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. კომპანია მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის კაპიტალზე, გაუფასურებასთან დაკავშირებით ფასს 9-ის მოთხოვნების შემოღების გამო, მაგრამ გავლენის მასშტაბის დასადგენად მას დასჭირდება დამატებითი დეტალური ანალიზის ჩატარება, რომელიც გაითვალისწინებს ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, საპროგნოზო ელემენტების ჩათვლით.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდისთვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

4.1 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების ნიშნების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გაუფასურება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა ბანკი დაადგენს, რომ მოხდა „ზარალის შემთხვევა", რომელიც ახდენს გავლენას ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. შესაძლოა ვერ მოხერხდეს გაუფასურების გამომწვევი შემთხვევის იდენტიფიცირება და ასეთი შემთხვევის ანალიზი მოითხოვდეს მნიშვნელოვან მსჯელობას.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალი არის სხვაობა ამ აქტივის საბალანსო ღირებულებასა და აქტივიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას შორის.

4.2 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივების გაუფასურების ანალიზი მოითხოვს გამოყენების ეკონომიკური სარგებლის შეფასებას, რაც გულისხმობს აქტივიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და მათი დისკონტირებისთვის შესაფერისი განაკვეთის განსაზღვრას

5. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	1,798,128	1,461,193
საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვალამდე ფლობილი ინვესტიციებიდან	968,386	857,406
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	641,975	714,803
სულ	**3,408,489**	**3,033,402**

	2017	2016
საბანკო დეპოზიტების საპროცენტო ხარჯი	127,368	118,762
კლიენტთა დეპოზიტების საპროცენტო ხარჯი	222,732	111,584
სულ	**350,100**	**230,346**

6. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი

	2017	2016
შემოსავალი საანგარიშსწორებო ოპერაციებიდან	588,208	655,611
შემოსავალი ნაღდი ფულით ოპერაციებიდან	315,461	341,391
შემოსავალი გარანტიებიდან	133,318	158,347
სხვა საკომისიო შემოსავალი	80,401	64,213
სულ	**1,117,388**	**1,219,562**

	2017	2016
საანგარიშწორებო ოპერაციების ხარჯი	394,064	377,554
ნაღდი ფულით ოპერაციების ხარჯი	142,543	117,773
სულ	**536,608**	**495,327**

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
ხელფასი	2,068,834	1,699,369
ცვეთა და ამორტიზაცია	524,509	606,586
იჯარა	162,866	322,736
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	44,006	117,354
პროფესიონალური მომსახურება	85,734	108,047
დაცვა	119,937	102,041
კომუნალური	82,523	60,441
ქონების დაზღვევა	52,568	36,479
გარიგების დაზღვევა	100,000	-
წარმომადგენლობითი	51,682	35,976
სხვა	241,730	121,864
სულ	**3,534,389**	**3,210,893**

8. მოგების გადასახადი

	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	**30,702**	**194,475**
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-
საქ. საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებიდან გამომდინარე დარიცხვა	**31,499**	-
სულ	**62,201**	**236,806**

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	2017	2016
ფული სალაროში	4,395,933	4,243,093
ფული ბანკომატებში	397,461	129,969
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში, გარდა სავალდებულო რეზერვისა	934,644	843,082
მიმდინარე ანგარიშები სხვა ბანკებში *	15,884,446	6,547,746
დეპოზიტები სხვა ბანკებში *	27,553,200	15,793,600
სულ	**49,165,684**	**27,557,490**

*ქართული და თურქული ბანკები

10. კლიენტებზე გაცემული სესხები

	2017	2016
ფიზიკური პირები	9,997,701	9,082,212
ვაჭრობის და მომსახურების სექტორი	6,379,099	5,973,152
სამშენებლო სექტორი	2,106,356	204,000
სხვა სექტორები	66,936	114,565
სულ	**18,550,092**	**15,373,929**
დარიცხული პროცენტი	155,658	94,387
გაუფასურების რეზერვი	(924,685)	(660,821)
ვადაგადაცილებული სესხები	136,651	94,020
სულ	**17,917,715**	**14,901,515**

კლიენტებზე გაცემული სესხების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის არსებითი სხვაობა არ არის.

პერიოდის განმავლობაში გაუფასურების რეზერვის ცვლილება:

საწყისი ბალანსი	660,821	391,369
წლის ცვლილება	269,274	269,452
საბოლოო ბალანსი	**930,095**	**660,821**

ინფორმაცია გირაოს შესახებ

	2017	2016
უძრავი ქონებიტ უზრუნველყოფილი სესხები	17,100,845	12,497,772
მესამე მხარის გარანტიით უზრუნველყოფილი სესხები	1,119,670	2,529,950
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	466,228	440,227
	18,686,743	**15,467,949**

სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი

	2017	2016
სესხები გაუფასურების ნიშნების გარეშე	17,091,594	14,655,941
სესხები გაუფასურების ნიშნებით	1,595,149	812,008
	18,686,743	**15,467,949**

ყველა სესხი გაუფასურების ნიშნით არის სათნადოტ უზრუნველყოფილი. მათ საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობა არის ნაკლები ბანკის მიერ შექმნილ გაუფასურების ზარალთან შედარებით. გაუფასურების ზარალი შექმნილია სებ-ის რეგულაციების შესაბამისად და არ არის დაკორექტირებული არაარსებითობიდან გამომდინარე.

11. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

	2017	2016
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები	2,966,169	8,663,045
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებბები	12,849,614	1,489,131
სულ	**15,815,783**	**10,152,177**

12. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	კომპ. და სოფისე აღჭ.	ავეჯი	იჯარით აღებული ქონების გაუმჯ.	სხვა	სულ
ღირებულება						
2016 წლის 1 იანვარი	1,431,069	667,747	482,074	1,399,714	63,390	4,043,994
შეძენა	865,994	149,801	574,678	607,006	188,780	2,386,260
ჩამოწერა	-	46,710	35,317	970,402	-	1,052,429
2017 წლის 1 იანვარი	**2,297,063**	**770,838**	**1,021,435**	**1,036,318**	**252,171**	**5,377,825**
შეძენა	-	18,733	13,686	-	71,031	103,450
ანგარიშზე გადატანა	-	500,717	371,160	-	-	871,877
ჩამოწერა	-	592,381	413,124	-	-	1,005,505
2017 წლის 31 დეკემბერი	**297,063**	**697,907**	**993,158**	**1,036,318**	**323,202**	**5,347,647**
დაგროვილი ცვეთა						
2016 წლის 1 იანვარი	**-**	**515,224**	**297,682**	**1,053,782**	**18,537**	**1,885,225**
ცვეთა	18,019	123,872	119,994	280,536	88,605	631,026
გასული პერიოდის დაგროვილი ცვეთა	-	971	27,484	897,586	66,460	992,502
2017 წლის 1 იანვარი	**18,019**	**638,124**	**390,192**	**436,732**	**40,682**	**1,523,749**
ცევთა	31,619	80,648	427,645	584,537	31,602	1,156,052
ანგარიშზე გადატანა	-	107	-	-	-	107
კორექტირება	-	17,353	185,805	429,312	-	632,470
გასული პერიოდის დაგროვილი ცვეთა	-	94,198	145,807	-	-	240,005
2017 წლის 31 დეკემბერი	**49,638**	**607,114**	**486,226**	**591,957**	**72,284**	**1,807,219**
1იანვარი 2016	1,431,069	152,523	184,392	345,932	44,854	2,158,769
1 იანვარი 2017	2,279,044	132,714	631,243	599,586	211,489	3,854,076
31 დეკემბერი 2017	**2,247,425**	**90,792**	**506,932**	**444,361**	**250,918**	**3,540,428**

13. კლიენტთა ანგარიშები

	2017	2016
იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშები	32,230,817	18,606,695
იურიდიული პირების დეპოზიტები	18,375,975	17,008,852
სულ	**50,606,792**	**35,615,546**
ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშები	9,419,448	7,139,576
ფიზიკური პირების დეპოზიტები	1,566,571	2,272,137

სულ	**10,986,018**	**9,411,713**
სულ გადასახდელ პროცენტამდე	**61,592,810**	**45,027,260**
გადასახდელი პროცენტი	38,129	30,786
სულ	**61,630,939**	**45,058,045**

კლიენტთა ანგარიშები ეკონომიკური სექტორის მიხედვით

	2017	**2016**
მშენებლობა	36,632,330	22,699,715
ფიზიკური პირები	10,986,018	9,411,713
ვაჭრობა და მომსახურება	8,520,103	9,022,291
სამთო მოპოვება და გადამუშავება	2,867,707	1,782,785
სხვა	2,586,651	2,110,755
სულ	**61,592,810**	**45,027,260**

14. გაცემული გარანტიების რეზერვი

გარანტიები, რომლებიც წარმოადგენენ შეუქცევად რწმუნებას, რომ ბანკი გადაიხდის თანხებს იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ვერ შეძლებს საკუთარი ვალდებულებების შესრულებას მესამე მხარეების მიმართ, ატარებენ იგივე საკრედიტო რისკს, რასაც სესხი.

2017 წლისათვის არ არსებობდა იმის ნიშნები, რომ ბანკს მოუწევდა თანხების გადახდა ამ გარანტიების მიხედვით და ამ გადახდილი თანხების ამოღება გახდებოდა საეჭვო. გაცემული გარანტიების რეზერვი შექმნილია სებ-ის რეგულაციების შესაბამისად და არ არის დაკორექტირებული არაარსებითობიდან გამომდინარე.

15. კაპიტალის მართვა

ბანკის მიზანი კაპიტალის მართვისას არის კაპიტალის მიმართ სებ-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ბანკის ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში საკრედიტო ხელშეკრულების მოთხოვნების დაცვა.

საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოცულობის გაანგარიშებას ზირაათ ბანკი საქართველო, პილარ 2-ს ფარგლებში, ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციისა და ბაზელის დედანი დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის პროცესზე პასუხისმგებელი ორგანოები არის ბანკის დირექტორატი, რომელსაც ამ პასუხისმგებლობის შესრულებისათვის დახმარებას უწევს ბანკში არსებული სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. ბანკი ყოველწლიურად განიხილავს და ამტკიცებს შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესს. ასევე უზურნველყოფს შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის ადეკვატურობასა და ყველა მატერიალური რისკის განსაზღვრას, რომელიც გამომდინარეობს ბანკის სტრატეგიიდან, ბიზნეს მოდელიდან, ბანკის ზომასა და კომპლექსურობიდან და ყოველდღიური საქმიანობიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის 3 მაისის „კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N61/04 ბრძანების თანახმად, საბანკო ლიცენზიის მიღებით დაინტერესებული იურიდიული პირისა და ლიცენზირებული კომერციული ბანკების მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნა 50 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრება. ლიცენზირებული კომერციული ბანკებისათვის აღნიშნული მოთხოვნის შესრულების ვადა სამ ფაზად იყოფა კერძოდ, აღნიშნული კომერციული ბანკების მინიმალური

საზედამხედველო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30 მილიონ ლარს, 2018 წლის 30 ივნისისათვის - არანაკლებ 40 მილიონ ლარს და - 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არანაკლებ 50 მილიონ ლარს.

სებ-ის მოთხოვნით, ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 9,6 %-ის ოდენობით და 6,4 % პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი.

2016 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით , ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის გამოთვლა , ბაზელ I-ის ჩარჩოზე დაფუძნებული იხილეთ მოცემულ ცხრილში:

	2017	2016
მფლობელთა კაპიტალი	30,000,000	15,204,182
წინა წლის გაუნაწილებელი მოგება სებ-ის რეგულ. მიხედვით *	-	4,407,115
მინუს: არამატერიალური აქტივები	(221,460)	(263,392)
პირველადი კაპიტალი	**29,778,540**	**19,347,905**
მიმდინარე წლის მოგება სებ-ის რეგულაციების მიხედვით **	859,435	2,009,923
საერთო რეზერვები სებ-ის რეგულაციების მიხედვით	570,237	293,117
მეორადი კაპიტალი	**1,429,672**	**2,303,040**
საზედამხედველო კაპიტალი	**31,208,212**	**21,650,945**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები სებ-ის რეგ. (RWA)	49,501,533	36,391,387
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (პირვ.კაპ / RWA)	60.16%	53.17%
საზედამხ. კაპიტალის კოეფიციენტი (საზედ.კაპ / RWA)	63.04%	59.49%

* წინა წლის გაუნაწილებელი მოგება/ზარალი და პირველი 4 თვის მოგება/ზარალი, ბანკის ლიცენზიის მიღებამდე, ასახულია 2017 წლის მფლობელთა კაპიტალში.

** მიმდინარე წლის მოგება სებ-ის რეგულაციების მიხედვით შეიცავს 8 თვის მოგება/ზარალს (ბანკის ლიცენზიის მიღების დღიდან 31.12.2017-ის ჩათვლით)

"კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ" დებულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნებიდან მოხდა კონსერვაციის ბუფერის - 2.5%-ის ცალკე გამოყოფა, რომელიც აქამდე ინტეგრირებული იყო მინიმალურ მოთხოვნებში. შედეგად, განახლებული კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები შეადგენს 4.5%, 6% და 8%-ს ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების შესაბამისად.

2016 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით , ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის გამოთვლა, ბაზელ III -ის რეგულაციის მიხედვით.
აღნიშნულ ცხრილში 2017 და 2016 წლებში გათვალისწინებულია „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში" შეტანილი ცვლილებები:

	2017	2016
მფლობელთა კაპიტალი	30,000,000	15,204,182
გაუნაწილებელი მოგება სებ-ის რეგულ. მიხედვით	859,435	6,417,037
მინუს: არამატერიალური აქტივები	(221,460)	(263,392)
პირველადი კაპიტალი	**30,637,975**	**21,357,827**
საერთო რეზერვები	570,237	293,117
მეორადი კაპიტალი	**570,237**	**293,117**

საზედამხედველო კაპიტალი	**31,208,212**	**21,650,944**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები სებ-ის რეგ. (RWA)	62,018,876	49,374,811
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (პირვ.კაპ / RWA)	49.40%	43.26%
საზედამხ. კაპიტალის კოეფიციენტი (საზედ.კაპ / RWA)***	50.32%	43.85%

***რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების დათვლის მეთოდოლოგიის ცვლილების შესაბამისად, სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის აღარ იღებს მონაწილეობას სულ რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებში. რამაც შესაბამისად გამოიწვია, ბაზელ III-ზე დაფუძნებული რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების და კაპიტალის კოეფიციენტების ცვლილება.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

17. დაკავშირებული მხარეები

	2017	2016
მიმდინარე ანგარიშები ზირაათ ბანკის სათვაო ოფისში	15,574,949	6,415,380
დეპოზიტები ნიუ იორკის ფილიალში	-	5,293,600
სესხები მენეჯმენტს	209,867	130,599
სესხები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან	119,679	64,953
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ	783,621	378,350
მენეჯმენტის მიმდინარე ანგარიშები	11,075	4,907
სხვა დაკავშირებული მხარეების მიმდინარე ანგარიშები	10,567	78,978
მენეჯმენტის კომპენსაცია	**579,251**	**799,063**

18. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, ბანკი ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

საკრედიტო რისკი
ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ბანკისთვის.

ლიკვიდურობის რისკი
რისკი, რომ ბანკს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

საბაზრო რისკი
რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ბანკი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთს და სავალურო რისკებს.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, ბანკს დამტკიცებული აქვს სპეციფიური სტრატეგიები, რაც შეესაბამება კორპორაციულ მიზნებს. ეს სტრატეგიები განსაზღვრავენ მოკლე და გრძელვადიან სამოქმედო გეგმებს და ბანკის წინაშე მდგარი ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებებს. შიდა აუდიტები ტარდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბანკის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება პრაქტიკაში.

ბანკის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

	2017	2016
ფული და ფულის ექვივალენტები	49,165,684	27,557,490
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	6,735,692	10,477,637
კლიენტებზე გაცემული სესხები გაუფ. რეზ. დაკლებამდე	18,842,401	15,562,336
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	15,815,783	10,152,177
	90,559,560	**63,749,639**
კლიენტთა ანგარიშები	61,630,939	45,058,045
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ	783,621	378,350
	62,414,560	**45,436,395**

18.1 საკრედიტო რისკი

ფული და ფულის ექვ. მინუს ფული სალაროში და ბანკომატებში	44,372,290	23,184,428
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	6,735,692	10,477,637
კლიენტებზე გაცემული სესხები გაუფ. რეზ. დაკლებამდე	18,842,401	15,562,336
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	15,815,783	10,152,177
	85,766,166	**59,376,577**

18.2 ლიკვიდურობის რისკი-ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ბანკი მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე.
ქვემოთ წარმოდგენილი არის ფინანსური ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით (საკონტრაქტო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები:

2017	1 თვე-ზე ნაკლები	1-დან 3 თვე-მდე	3-დან 6 თვემ-დე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
კლიენტთა ანგარიშები	59,693,598	837,608	527,162	289,284	283,286	**61,630,938**
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ	5,561	-	401	129,610	648,050	**783,621**
	59,699,159	**837,608**	**527,563**	**418,894**	**931,336**	**62,414,560**

2016	1 თვე-ზე ნაკლები	1-დან 3 თვე-მდე	3-დან 6 თვემ-დე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
კლიენტთა ანგარიშები	42,669,418	1,288,942	880,933	26,236	192,516	45,058,045
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ	113,670	-	-	-	264,680	378,350
	42,783,088	**1,288,942**	**880,933**	**26,236**	**457,196**	**45,436,395**

18.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

ბანკს არ გააჩნია ფინანსური ატივები და ვალდებულებები მცოცავი საპროცენტო განაკვეთით.

18.4 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს.
ფინანსური აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალუტების მიხედვით:

2017	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	13,733,702	34,707,098	655,756	69,129	**49,165,685**
სავალდებულო რეზერვები სებ-ში		6,322,267	413,425		**6,735,692**
კლიენტებზე გაცემული სესხები გაუფას. რეზ. დაკლებამდე	7,625,342	11,217,059	-	-	**18,842,401**
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	15,815,783	-	-	-	**15,815,783**
	37,174,827	**52,246,424**	**1,069,181**	**69,129**	**90,559,561**